პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 99 (10493)

პარასკევი, 27 აპრილი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

მოლაპარაკება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებს შორის

ლონდონი, 25 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გამოქვეყნდა ორმხარეს შორის შეთანხმებული კომუნიკე იმის შესახებ, რომ დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ა. იდენთან და ინგლისის სხვა ხელმძღვანელებთან.

კომუნიკეში ნათქვამია:

„დღეს დღის მეორე ნახევარში დამთავრდა ინგლისის-სსრ კავშირის მოლაპარაკების საბოლოო სტადია.

შედეგები გამოცხადდება ხვალ საღამოს მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელმძღვანელები დაბრუნდებიან შოტლანდიაში მოგზაურობიდან“.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

ლონდონი, 25 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს იყვნენ საუზმეზე, რომელიც მათ პატივსაცემად გამართა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა თავის ოფიციალურ რეზიდენციაში.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი საუზმის შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთ რეზიდენციაში — ოტელ „კლერიჯში“, საიდანაც კვლავ წავიდნენ დაუნინგსტრიტზე, 10, ინგლისის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების განსაგრძობად. მოლაპარაკება განახლდა 16 საათზე და გრძელდებოდა 18 საათამდე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებს შორის დამთავრებულია და რომ მიღწეული შედეგები გამოქვეყნდება კომუნიკეში 26 აპრილს.

საღამოს ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი სამეფო ოპერის თეატრში კოვენტ-გარდენში დაესწრნენ საბალეტო წარმოდგენას ლონდონის განთქმული თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. ეესწრებოდა ორი ათასზე მეტი მაყურებელი. ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა პრემიერ-მინისტრ ანტონი იდენთან ერთად დაიკავეს ადგილები სამეფო ლოჟაში პირველ იარუსზე, ორკესტრს ზემოთ მარჯვნივ. მაყურებელნი ტაშით შეხვდნენ სტუმრებს. წარმოდგენის დაწყების წინ შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ჰიმნები. სამეფო ლოჟაში იყვნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი და თეატრ კოვენტ-გარდენის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლორდი უეივერლი.

მეზობელ ლოჟაში იყვნენ განათლების მინისტრი დ. ეკლსი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლორდი რედინგი, პარლამენტის მთელი რიგი წევრები და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი. საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი.

სპექტაკლის პროგრამაში იყო სამი მოკლე საბალეტო წარმოდგენა „სედლერს უელსის“ დასის მსახიობთა შესრულებით. პირველი შეასრულეს ბალეტი „მოციგურავენი“, რომელიც გამოხატავს მთელ რიგ ცეკვებს ყინულზე (მუსიკა მეიერბერისა ინგლისელი კომპოზიტორის კ. ლამბერტის ორკესტრობით). სპექტაკლის მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა მეორე მოქმედება ჩაიკოვსკის ბალეტისა „გედის ტბა“. ოდეტას როლი შეასრულა ცნობილმა ინგლისელმა ბალერინამ მარგო ფონტეინმა. პრინც ზიგფრიდის პარტია შეასრულა ბალეტის სოლისტმა მაიკლ სოუმსმა. სტუმრები და ყველა სხვა მაყურებელი მხურვალედ უკრავდნენ ტაშს შემსრულებლებს.

სპექტაკლის დასასრულს უჩვენეს მოკლე კომიკური ბალეტი „დამა და მასხარა“ (ჯეზეპე ვერდის მუსიკა ინგლისელი კომპოზიტორის ჩარლზ მაკერასის ორკესტრობით). ბალეტი „მოციგურავენი“ დადგა „სედლერს უელსის“ დასის ბალეტმეისტერმა ფ. ეშტონმა, „გედის ტბა“ — „სედლერს უელსის“ დასის ბალეტმეისტერმა და დირექტორმა ნინეტა დე ვალუამ, „დამა და მასხარა“ — „სედლერს უელსის“ დასის ბალეტმეისტერმა ჯ. კრენკომ.

წარმოდგენას დიდი წარმატება ჰქონდა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ავიდნენ სცენაზე და მადლობა გადაუხადეს საუცხოო შესრულებისათვის პრომა-ბალერინა მარგო ფონტეინსა და სხვა მსახიობებს. საბჭოთა ხელმძღვანელები ესაუბრნენ მსახიობებს და ყვავილები უძღვნეს მათ.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა საუზმე გამართა

ლონდონი, 25 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა თავის რეზიდენციაში საუზმე გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გარდა, საუზმეზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი.

ინგლისის მხრივ იყვნენ პარლამენტის ლეიბორისტი წევრები ჰ. მორისონი და სერ ჰ. შოუკროსი, ლიბერალური პარტიის მოღვაწე ლორდი რი, პარლამენტის წევრი კონსერვატორი ლორდი ლემბტონი, ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური მდივანი ვ. ტიუსონი, ფელდმარშალი ლორდი ალექსანდერ ტუნისელი, ბრიტანეთის რადიომაუწყებელი კორპორაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ა. კადოგანი, გაზეთ „ტაიმსის“ მთავარი რედაქტორი უ. ჰელი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ა. კირკპატრიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ლორდი ჰოუპი და გ. კაჩია და სხვა პირები.

საუზმის დროს სელვინ ლოიდმა და ნ. ა. ბულგანინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ინგლისელ ქალთა მიმართვა სერ ანტონი იდენისა და ნ. ა. ბულგანინისადმი

ლონდონი, 25 აპრილი (საკდესი). ქალთა ეროვნულმა ასამბლეამ განაცხადა, რომ მან მოწოდება მიმართა იდენსა და ბულგანინს. მოწოდებაში ნათქვამია:

„ჩვენ, ქალები, რომლებიც ყოველგვარი პოლიტიკური შეხედულებებისა ვართ და სხოგადოების ყველა კლასს ვეკუთვნით, ჩვენ შორის ბევრი დედა, დიდად დაინტერესებული იმით, რომ დავიცვათ ჩვენი ოჯახები ომისაგან, მივესალმებით ინიციატივას, რომელიც ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა გამოიჩინა ჟენევის თათბირზე, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მოიწვია სსრ კავშირის მთავრობის მეთაური.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ბ-ნ ბულგანინსა და ბ-ნ ხრუშჩოვს ჩვენს ქალაქებსა და ჩვენს სახლებში, ვიცით რა, რომ ისინი ჩვენში იპოვნიან ღრმა მისწრაფებას — ვიცხოვროთ მშვიდობით და მეგობრულად ყველა ხალხთან.

ჩვენ გულწრფელად ვთხოვთ სერ ანტონი იდენსა და ბ-ნ ბულგანინს ისარგებლონ ამ შესაძლებლობით და განუცხადონ მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენი ორი ხალხი იცხოვრებს მშვიდობით, ერთობლივად განაცხადონ, რომ თანახმა არიან შეწყდეს წყალბადის ბომბების გამოცდა, რაც პირველი ნაბიჯი იქნება განიარაღების გზაზე, და ეცადონ კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში მოაწესრიგონ სხვა სადავო საკითხები ერთმანეთის შორის“.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ლონდონიდან შოტლანდიაში გაემგზავრნენ

ლონდონი, 26 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს 13 საათსა და 25 წუთზე ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ლონდონიდან ედინბურგს გაფრინდნენ. საბჭოთა სტუმრებს ახლავან დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს და შოტლანდიის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ლონდონის აეროდრომზე ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა ჯონ პროფუმომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ამხანაგები ბულგანინი და ხრუშჩოვი ედინბურგში ჩავიდნენ

ედინბურგი, 26 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). 15 საათზე ადგილობრივი დროით ოთხმოტორიანი თვითმფრინავი „ვაიკაუნტი“, რომელმაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ლონდონიდან შოტლანდიაში ჩაიყვანა, დაეშვა ტერნჰაუზის აეროდრომზე ექვს მილზე შოტლანდიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ და მის ისტორიულ დედაქალაქ ედინბურგიდან, რომლის მოსახლეობა ახლა დაახლოებით 480 ათას კაცს უდრის.

აეროდრომზე საბჭოთა ხელმძღვანელებს და მათ თანმხლებ პირებს შეხვდნენ შოტლანდიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ჯეიმს სტიუარტი და ედინბურგის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი იყვნენ ჰაიგეტის სასაფლაოზე და გვირგვინით შეამკეს კარლ მარქსის საფლავი

ლონდონი, 26 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი იყვნენ ჰაიგეტის სასაფლაოზე ლონდონში, სადაც 73 წლის წინათ დაკრძალეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი და ბელადი, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი.

1956 წლის 14 მარტს მარქსის საფლავზე დაიდგა ძეგლი, რომელიც აშენდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მშრომელების მიერ შეგროვებული სახსრებით. ღია რუხი გრანიტის კვარცხლბეკის მთელ სიგანეზე, სადაც დადგმულია მარქსის ბრინჯაოს ბიუსტი, ამოკვეთილია მისი მგზნებარე მოწოდება მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ქვემოთ მარმარილოს მემორიალური დაფის ქვეშ მარქსთან ერთად დაკრძალული მისი ოჯახის წევრთა სახელებთან ამოკვეთილია მარქსის სიტყვები: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ის არის, რომ შევცვალოთ იგი“.

10 საათზე სასაფლაოს კართან, სადაც ბევრმა ლონდონელმა მოიყარა თავი, მიდის ავტომანქანები, საიდანაც გამოდიან ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები და ლონდონში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები. ხრეშმოყრილი ბილიკით მიდიან ისინი კ. მარქსის საფლავთან. 10 საათსა და 5 წუთზე ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა ძეგლის კვარცხლბეკზე მიიტანეს დიდი დაფნის გვირგვინი, მორთული წითელი ვარდებით, თეთრი მიხაკებითა და შროშანებით. გვირგვინს აქვს წარწერა:

„დიდ მოაზროვნეს
კარლ მარქსს —
მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხებისაგან“.

გვირგვინის მიტანის შემდეგ ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და მათმა თანმხლებმა პირებმა პატივი სცეს დიდი მასწავლებლის ხსოვნას ერთი წუთი საზეიმო დუმილით.



მანქანათმშენებელთა ახალი პროდუქცია

ახლოვდება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი. ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ ახალი წარმატებები მოიპოვოს, პირნათლად გაანალდოს სადღესასწაულოდ აღებული ვალდებულებები.

მანქანათმშენებლებმა წელს შარშანდელთან შედარებით 16 პროცენტით უნდა გაზარდონ პროდუქციის გამოშვება, ამავე დროს აითვისონ ახალი სახის პროდუქციის — ცალმხრივი კოტასაჭრელი ჩარხების სერიული გამოშვება. ეს ჩარხები გამოიყენება ხისდამამუშავებელ მრეწველობაში კარ-ფანჯრების ჩარჩოების ინდუსტრიული მეთოდით დამზადებისათვის.

ახალი პროდუქციის გარდა ქარხანა კვლავ განაგრძობს სამგზავრო და სატვირთო ლიფტების, სხვადასხვა ამწე მექანიზმების, კონვეიერების, ფართო მოხმარების საგნების წარმოებას.

მიმდინარე წლის გადიდებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ქარხნის კოლექტივმა დროზე გასწია საჭირო მოსამზადებელი მუშაობა. საამქროებში გამართეს ახალი მძლავრი მანქანა-დანადგარები, განხორციელდა მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, გაუმჯობესდა ზოგიერთი დეტალის წარმოების ტექნოლოგია, მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური აღჭურვილობის კოეფიციენტის გადიდებისათვის.

ძირითადი პროდუქციის გამოშვებასთან ერთად ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს სპეციალურ დაკვეთებსაც. ამ დღეებში მანქანათმშენებლები ამთავრებენ „სჩ-500“ მარკის ორი ახალი ჩაის დამზარისხებელი მანქანის აწყობას. მანქანის კონსტრუქცია ეკუთვნის თბილისის სპეციალურ სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს.

სურათზე: (მარცხნიდან) ამწყობი ზეინკალი ტ. მეტრეველი, ბრიგადირი შ. მაისურაძე, კონსულტანტ-კონსტრუქტორი გ. როინიშვილი და ამწყობი ა. სოხაცკი მუშაობენ ჩაის დამზარისხებელი ახალი მანქანების მონტაჟზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

პარტიული ცხოვრების საკითხები და რაიონული პრესა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი ბრძენი კომუნისტური პარტია, რომელიც დიად წარმმართველ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ ძალას წარმოადგენს. კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც დიდმა ლენინმა „ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“ უწოდა, სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა და მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. პარტიის ძალის, სიმტკიცისა და უძლეველობის წყაროა მისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა, მისი უსაზღვრო ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი, მისი მტკიცე კავშირი ხალხთან.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა, მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ აღმავლობას, მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებას, რაზეც პირველ რიგში დამოკიდებულია საქმის წარმატება, მეექვსე ხუთწლედის უდიდესი სამეურნეო ამოცანების ღირსეულად განხორციელება. პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში დიდი როლი ენიჭება საბჭოთა პრესას.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამჟამად იბრძვიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის მეთოდების განუხრელად გაუმჯობესებისათვის, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, გაზეთების ვალია სისტემატურად ღრმად სწვდებოდნენ პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივი მოღვაწეობის არსს.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის ბევრი რაიონული გაზეთი შედარებით რეგულარულად აშუქებს პარტიული ცხოვრების საკითხებს. მთელი რიგი გაზეთები სისტემატურად აქვეყნებენ მოწინავე სტატიებს, კრიტიკულ კორესპონდენციებსა და შენიშვნებს პარტიულ თემებზე. მათს ფურცლებზე ახლა უფრო ხშირად ვხვდებით პარტიული მუშაკების, პროპაგანდისტების, აგიტატორების სტატიებსა და წერილებს, სხვადასხვა მასალებს პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დასახმარებლად. ყოველივე ეს ხელს უწყობს რაიონული პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობაში გაზეთების როლის ამაღლებას.

მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რაიონული პრესის მიერ პარტიული ცხოვრების გაშუქებაში მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით.

არადამაკმაყოფილებლად აშუქებს პარტიულ ცხოვრებას, კერძოდ რაიონის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“. იგი რატომღაც გვერდს უვლის ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს შახტების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, არ ამხილებს და მკაცრად არ აკრიტიკებს მათი მუშაობის ნაკლოვან მხარეებს. ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ ფურცლებზე პარტიულ თემაზე დაბეჭდილ მასალებში ღრმად, საქმის ცოდნით არ შუქდება სოფლად პარტიული მუშაობის საკითხები. გაზეთი იშვიათად წერს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათს გამოცდილებაზე სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. უსისტემოდ, ზერელედ აშუქებენ სოფლად პარტიული მუშაობის პრაქტიკას „კოლმეურნის მნათობი“ (ვანი), „საბჭოთა სოფელი“ (აბაშა) და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთები.

ბევრი რაიონული გაზეთის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისინი საქმის უცოდინრად, ზერელედ წერენ პარტიულ მუშაობაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრ გაზეთს სათანადო მჭიდრო ურთიერთობა არა აქვს პარტიულ კომიტეტებთან და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, მუშაობაში არ იზიდავს ავტორთა აქტივს პარტიულ მუშაკთა წრიდან. სწორედ ამის შედეგია, რომ ხშირად გაზეთებში პარტიულ თემაზე დაწერილი წერილები თუ კორესპონდენციები თითქმის არაფრით განსხვავდება საწარმოო თემებზე დაწერილი მასალებისაგან.

ამოცანა ის არის, რომ ძირეულად გავაუმჯობესოთ რაიონულ გაზეთებში პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქება, ავამაღლოთ რაიონული პრესის როლი პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიული ცხოვრების ამსახველ მასალებს გაზეთებში მუდამ წამყვანი ადგილი უნდა ეთმობოდეს. მთელი თავიანთი მუშაობით რაიონული გაზეთები ქმედითად უნდა ეხმარებოდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ორგანიზატორული მუშაობის დონის გაუმჯობესებაში, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისაკენ მის წარმართვაში, მასებთან კავშირის კიდევ უფრო გაფართოებასა და განმტკიცებაში, მათს მობილიზაციაში პარტიის მიერ დასახული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

რაიონული გაზეთები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებას, პარტიული მასების აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ნაკლოვანებათა გადაღულად მხილებას.

უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულონ მთელ საბჭოთა პრესასთან ერთად ჩვენმა რაიონულმა გაზეთებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ფართო პროპაგანდაში. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისაკენ მის წარმართვას, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შეგნების ამაღლებას, კომუნისტური სულისკვეთებით მათს აღზრდას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევისათვის მუშაობის გაძლიერებას.

ეს დიდი და საპატიო ამოცანები წარმატებით რომ განახორციელოს რაიონულმა პრესამ, საჭიროა გადაჭრით გაუჯობესდეს მისდამი რაიონული პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა. პარტიის რაიკომები ყოველდღიურად კონკრეტულად უნდა წარმართავდნენ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობას, ზრუნავდნენ მათი სერიოზულად გაუმჯობესებისათვის, აძლიერებდნენ მათს აღმზრდელობითსა და ორგანიზატორულ როლს სოფლად პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მუშაობის შემჯგობი აღმავლობის საქმეში, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის მასების ფართო მობილიზაციის საქმეში.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია

გუშინ, 26 აპრილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროფესიულ კავშირთა მეოთხე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა.

არჩევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოებს — საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს და სამანდატო კომისიას.

დელეგატები დიდი აღმავლობით, მჭუხარე ტაშით ირჩევენ კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მტკიცდება კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საანგარიშო მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ.

2. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

3. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1954-1955 წლების მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება. მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. რ. ა. ავეტისოვმა.

საღამოს სხდომაზე მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კ. ძიძიგურამ, თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსმა ე. დ. სოლომკომ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეკავნაძე.

კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

(საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ჩუბინიძე მისასალმებელი სიტყვით მიმართავს რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილეებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის ორდენები გადაეცათ რევოლუციური მოძრაობის აქტიურ მონაწილეებს

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის ორდენები გადაეცა რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილეთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის 1905-1907 წლების რევოლუციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შეიკრიბა რევოლუციის 46 ვეტერანი, რომლებსაც არალეგალური რევოლუციური მუშაობის მრავალი წლის სტაჟი აქვთ.

დაჯილდოებულთა ორდენები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ.

მთავრობის მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღო ალექსანდრეს-ძე რაჩილაძემ, კომუნისტური პარტიის წევრმა 1903 წლიდან. იგი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშა იყო და აქტიურად მონაწილეობდა რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს ცნობილ გაფიცვაში. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების პერიოდში იგი მონაწილეობდა 1905 წლის 18 დეკემბრის ბრძოლებში ნაძალადევში.

ლენინის ორდენი მიიღო სერგი ივანეს-ძე კაპანაძემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრმა 1905 წლიდან. მუშაობდა რაჭითურის მაღაროებში, იგი აქტიურად მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, ავრცელებდა არალეგალურ ბოლშევიკურ ლიტერატურას. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში სერგი კაპანაძე, როგორც მებრძოლი რაზმის წევრი, ებრძოდა მეფის სადამსჯელო ჯარებს.

ლენინის ორდენი გადაეცა კონსტანტინე ალექსის-ძე კარპოვს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრს 1904 წლიდან. 1903 წლიდან იგი რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ნიჟნი ნოვგოროდის, ყაზანის მუშებში. 1905 წელს მონაწილეობდა შეიარაღებულ გამოსვლებში.

პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა ალექსი დიონისეს-ძე ბარამიძემ მიიღო ბათუმის 1902 წლის განთქმულ პოლიტიკურ დემონსტრაციაში. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იგი იმ მებრძოლი რაზმის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო გურიის გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებში, მეფის ჯარების სადამსჯელო ჰოლკის განიარაღებაში. ალექსი ბარამიძე ახლა 77 წლისაა. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. კანონიერი სიამაყის გრძნობით მიიღო მან მთავრობის მაღალი ჯილდო.

ორდენებს იღებენ აპოლონ გლახას-ძე ჯაფარიძე (სკკპ წევრი 1905 წლიდან) — ბოლშევიკური მებრძოლი რაზმის ყოფილი წევრი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების პერიოდში; ალექსანდრე გიორგის-ძე ყორანაშვილი (სკკპ წევრი 1903 წლიდან) — თბილისელ მეთამბაქოეთა გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მებრძოლი რაზმის მონაწილე; კაპიტონ სერგის-ძე კალანდაძე (სკკპ წევრი 1905 წლიდან), რომელიც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა თბილისის რკინიგზელ მუშათა შორის, გურულ გლეხთა რევოლუციური ბრძოლის მონაწილე; ალექსი პეტრეს-ძე ზაკომოლდინი, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვებისა და გამოსვლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მებრძოლი რაზმის წევრი, რომელიც იარაღით ხელში იცავდა ნაძალადევის მუშათა რაიონს კაზაკთა თავდასხმებისაგან 1905 წლის რევოლუციის დღეებში; ივანე ივანეს-ძე კოვალიოვი (სკკპ წევრი 1903 წლიდან), რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეების ერთ-ერთი პროპაგანდისტი იყო. იგი ავრცელებდა და ინახავდა ბოლშევიკური პროკლამაციებს, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს მებრძოლი რაზმის წევრი იყო.

დაჯილდოებულთა სახელით მოკლე სიტყვა წარმოთქვა ვასილ ზურაბის-ძე კონჯარიამ.

— სულით და გულით მხურვალე მადლობას ვუძღვნი მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მაღალ ჯილდოსათვის,— განაცხადა ამხ. კონჯარიამ. — ეს ჯილდო გვაკვალებს ჩვენ, რუსეთის პირველი რევოლუციის ვეტერანებს, დავეხმაროთ პარტიას XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ჩვენ უნდა ვიყოთ ხალხში — საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ვუამბობდეთ ახალგაზრდობას სიმართლეს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდნენ მათი ჰამები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ნათელი მომავლისათვის.

— ახლა 70 წლისა ვარ, — თქვა ვ. ა. ბირიუკოვმა, — ჩემი შეგნებული ცხოვრების 50 წელზე მეტი კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის. მაღალმა ჯილდომ იმდენი ძალა შემმატა, რომ მგონია არც ისე მოვხუცებულვარ და კიდევ შემიძლია ბევრი სარგებლობა მოვუტანო მშობლიურ პარტიასა და ჩვენს სამშობლოს.

— ჩვენ აქ შევიკრიბეთ,—ამბობს ნ. ნ. ალაჯალოვა,—ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს. ლენინის სახელი უკვდავია. ლენინიზმის დროშა უნათებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზას. ლენინელია ძველი გვარდიელ კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს ლენინის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით მ. დ. ჩუბინიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ მთავრობის მაღალი ჯილდოები.

— პარტიამ და მთავრობამ, — თქვა მ. დ. ჩუბინიძემ, — დაგაჯილდოვათ თქვენ 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და დამსახურებისათვის.

ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელი იყო თქვენთვის მაშინ არალეგალურ პირობებში მუშაობა და ბრძოლა, რა ძნელი იყო გესწავლათ თვითონ და მასებში შეგეტანათ მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრება, გაგიწაოლებინათ და დაგერაზმათ მუშათა და გლეხთა მასები. ჩვენ აღტაცებული ვართ თქვენი მამაცობით. მიუხედავად ყველა სიძნელისა, სასტიკი რეპრესიების ძუძმივი საფრთხისა მეფის სატრაპების მხრივ, თქვენ თავდადებით მიდიოდით ლენინის გზით, რაზმავდით მშრომელებს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქმემ, რომლისთვისაც იბრძოდა რევოლუციონერთა უფროსი თაობა, გაიმარჯვა საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენი ხალხი დღეს კომუნიზმს აშენებს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღფრთოვანებით ახოვანებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, აშენებენ თავიანთ კიდევ უფრო ბედნიერ მომავალს, იბრძვიან ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები თავიანთი ნაკადი ბელადისა და ხელმძღვანელის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ჩვენ გვწამს, რომ თქვენ, ძველი ბოლშევიკები, ჯერ კიდევ ბევრ რამეს გაიკეთებთ ჩვენი პარტიისათვის, ჩვენი ხალხისათვის, აქტიურად დაეხმარებით პარტიას ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, ღირსეულ წვლილს შეიტანთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

თავისი სიტყვის დასასრულს მ. დ ჩუბინიძემ ერთხელ კიდევ სულით და გულით მიულოცა რევოლუციური მოძრაობის ვეტერანებს მთავრობის მაღალი ჯილდო და უსურვა მათ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქდესი).

ახალგაზრდები კულტურის სახლს აშენებენ

გურჯაანი. (საკ. კორ.). ვაზისუბნის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ კოლმეურნეობის კულტურის სახლის აშენება გადაწყვიტა. შედგენილ იქნა პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და გაჩაღდა მშენებლობა. კულტურის სახლს ექნება 32 ოთახი წრეების მეცადინეობისა და სხვა სახის მუშაობისათვის, დარბაზი 525 კაცს დაიტევს, სცენა მექანიზებული იქნება. მშენებლობაზე 2.517 ათასი მანეთი დაიხარჯება.

კოლმეურნეობის გამგეობის მიმართვას ახალგაზრდობისადმი, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღო კულტურის სახლის მშენებლობაში, ყველა ახალგაზრდა მხურვალედ გამოეხმაურა. ჩამოყალიბდა მშენებელთა ბრიგადა, რომელშიც 54 ახალგაზრდა გაერთიანდა. ბრიგადაში მშენებელთა ოთხი რგოლია. მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. დღემდე პირველობას ა. რევაზიშვილის რგოლი ინარჩუნებს. მას გადაეცა კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშა. ცალკეული მშენებლებიდან ახალგაზრდები ლ. სოლომნიშვილი, გ. დემეტრაშვილი, კ. გოგიევი და სხვები დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

ახალგაზრდა მშენებლები I მაისისათვის კულტურის სახლის პირველ სართულს დაამთავრებენ.

ახალი ბაღები

გორი. (საკ. კორ.). მარტო ახალსოფლის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში წელს 131 ჰექტარზე უნდა გაშენდეს ხეხილის ბაღები სოფელ შავშვების კოლმეურნეობაში, სადაც ადრე მოამზადეს ფართობი ახალი ბაღის გასაშენებლად, შეიძინეს ნერგი, ხელსაყრელი ამინდის დადგომისთანავე შეუდგნენ დარგვას. შავშვებელმა კოლმეურნეებმა 17 ჰექტარზე გააშენეს ბაღი.

ამ გაზაფხულზე ახალი ბაღები გააშენეს აგრეთვე მეჯვრისხევის, ახრისის, ზეღდულეთის და სხვა კოლმეურნეობებმა.

მევენახეთა ჯგუფი გენიჩესკში გაემგზავრა

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში გაემგზავრა მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის მეცნიერებათა კანდიდატები ა. ცხომელიძე, ი. ჩხაიძე, აგრონომი ლ. წუწუნავა.

მახარაძელები გენიჩესკში დარჩებიან 15 დღეს. ისინი მევენახეობის აქტუალურ საკითხებზე წაიკითხავენ ლექციათ-მოხსენებებს, გენიჩესკელებს გაუზიარებენ მევენახეობაში შეძენილ გამოცდილებას და პრაქტიკულად დაეხმარებიან ყურძნის მოყვანის აგროტექნიკის განხორციელების საქმეში.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ოთხი თვის გეგმა

22 აპრილისათვის შეასრულეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს თავდადებული შრომით უპასუხებს მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივი. აქ პირველ კვარტალში დავალების გადამეტებით გამოუშვეს 108.000 მანეთის პროდუქცია. ზეინკლებმა, ხარატებმა, მჭედლებმა, ლითონამსხმელებმა და ენერგეტიკოსებმა მუშაობის ტემპი გააძლიერეს და 4 თვის დავალება ჯ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავისათვის — 22 აპრილისათვის შეასრულეს.

სახელოსნოს კოლექტივმა ათთვისა და ამზადებს მძლავრ 30-ტონიან სალექ მანქანებს. უკვე ამონტაჟებენ ორ ასეთ მანქანას და მათ საპირველმაისოდ გამოუშვებენ. აპრილში დაამზადეს 16-ტონიანი რვა სალექი მანქანა და ექვსი ოცმეტრიანი ელევატორი, რომლებიც განკუთვნილია ცენტრალური გამაუჯეველი ფაბრიკებისათვის.

მთავარი სახელოსნოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ეხმარებიან მოძმე დაშქესანის (აზერბაიჯანის სსრ), აგრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას და ხაწარმოებს, ტყიბულელ მეშახტეებს, რომლებსაც ასობით ტონა ფოლადისა და თუჯის სხმული დაუმზადეს.

დაწინაურებული შახტი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეორე შახტის კოლექტივმა საპირველმაისო მოწოდებათა პასუხად ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება. მეშახტეებმა აპრილის ოცი დღის დავალების გადამეტებით ამოიღეს 1.900 ტონა ქვანახშირი, ხოლო წლის დასაწყისიდან ქვეყანას მისცეს 11.587 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი.

საპირველმაისო შეჯიბრებაში წინ მიდის მეორე უბანი, რომელსაც რ. ჯობაძე ხელმძღვანელობს.

ახალციხე. (საკ. კორ.). დიატომიტის საწარმოს კოლექტივი, რომელიც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, აპრილის ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. დიატომიტის ამოღების ორი დეკადის დავალება მაღაროელებმა 130 პროცენტით გაანადღეს. ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მადნის გამოშრობის და დაფქვის გეგმა.

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ მოწინავე მუშებს ი. ბეჟანოვს, ნ. ბერიძეს, ი. ჯაოშვილს, ხ. გიორგაძეს და შ. კალიანს.

772 ათასი გოთლი

გეგმის გადამეტებით

უკანასკნელი შვიდი კვარტალის მანძილზე ზეიზეიდ იღებს მეორე პრემიას სასურსათო მრეწველობის საწარმოთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივი. მან ნაყოფიერად იმუშავა მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც — 18 დღით ადრე შეასრულა საწარმოო დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 720,2 ათასი მანეთის პროდუქცია.

შუშისმკეთებლები აპრილში კიდევ მეტი წარმატებით მუშაობენ. ოთხი თვის დავალება 15 აპრილისათვის 115,1 პროცენტით გაანაღდეს და სასურსათო მრეწველობის საწარმოებს გეგმის გადამეტებით მისცეს 772,4 ათასი ცალი ბოთლი, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 19,7 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგეს 135 ათასი მანეთი.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ბოთლების დამყალიბებელი მეორე სამქროს ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი მემანქანე ვ. სინჯარაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა აპრილის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 222.500 ბოთლი დაამზადეს.

ჩაებნენ რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რუსთავის მეტალურგები გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან აპრილის დავალების ვადამდე შესრულებისათვის. მარტენის საამქროში დაწინაურდა მეფოლადეთა ბრიგადა, რომელსაც ზ. ყაველაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ მიმდინარე თვის 22 დღის გეგმა 109,3 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 167 ტონა ფოლადი გამოადნო. სურათზე: (მარცხნიდან) მეფოლადის მეორე თანაშემწე უ. ივანაშვილი, პირველი თანაშემწე გ. ლომიძე, ცვლის უფროსი ა. გეფერიძე და მეფოლადე ზ. ყაველაშვილი თვალყურს ადევნებენ დნობის პროცესს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები ახალი ამოცანების წინაშე

მ. ლელაშვილი,
საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ორმა წელმა განვლო საქართველოს პროფკავშირთა მესამე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენციის შემდეგ. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში დიდი მნიშვნელობის ამბები მოხდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიადი მუშაობის შედეგები და დასახა ჩვენი ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის გრანდიოზული პროგრამა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, იხურავდე მოწონებით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ძირითადად ვადამდე შეასრულეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის სახელმწიფო დავალება. ხუთი წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის მოცულობა 73 პროცენტით გაიზარდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ასზე მეტი ახალი საწარმო. 1950 წელთან შედარებით 1955 წელს მარგანეცის ამოღება გაიზარდა 61 პროცენტით, ქვანახშირისა — 57 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 61 პროცენტით, ლითონდამუშავებელი ჩარხების გამოშვება — 56 პროცენტით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

1954 და 1955 წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწინავე საწარმოები, რომლებიც მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 518-ჯერ გამოვიდნენ გამარჯვებულნი და დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს, სამინისტროებისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

ათობით სამრეწველო საწარმომ, მათ შორის ამიერკავკასიის რკინიგზამ, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა, თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ ვადამდე შეასრულეს თავიანთი ხუთწლიანი გეგმები და სამშობლოს მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში დღითიდღე მრავლდება წარმოების მოწინავეთა რიგები. თავიანთი შრომითი საქმეებით ფართოდ გაითქვეს სახელი სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის ჩქაროსანმბარატმა ი. ჭუმბურიძემ, რომელიც 1973 წლის ანგარიშში მუშაობს, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეებმა მეტრეველმა, სამცოვმა, ზარიძემ და ორლოვმა, რომლებიც ჩქაროსნული მეთოდებით იძლევიან დნობათა 85-95 პროცენტს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხარატმა ა. აგაპოვმა, რომელმაც მეხუთე ხუთწლედის 4 წლისა და 10 თვის განმავლობაში შეასრულა 12 წლიური ნორმა და ახლა 1971 წლის ანგარიშში მუშაობს, და ბევრმა სხვამ.

რესპუბლიკის მრავალ საწარმოში მნიშვნელოვნად განვითარდა შრომის მოწინავე მეთოდების სკოლები, რომლებიც წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და აქტიურად დანერგვის ერთ-ერთ ქმედით ფორმად წარმოადგენენ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში 1955 წელს შეიქმნა 12 სკოლა, რომლებშიც მოწინავე მეთოდები შეისწავლა 500-ზე მეტმა კაცმა.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი არ დაგვენახა ბევრი სერიოზული ნაკლი წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში. კასპის ცემენტის ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრება ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს. საამქროებში შეჯიბრების შედეგების შეჯამება ხდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, ანალიზი არ უკეთდება ცალკეული მუშების, ბრიგადების, საამქროებისა და მთლიანად საწარმოს ჩამორჩენის მიზეზებს, არ სახავენ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. უკანასკნელ ხანებში ქარხანა სისტემატურად ვერ ასრულებს საწარმოო გეგმას.

ზოგიერთ სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ჯერ კიდევ ხელი არ აუღია შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ მეთოდებზე. ყოველ კვარტალობით აჯამებენ რა რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგებს, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმები და კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების კოლეგიები მხოლოდ იმით ამაყოფილდებიან, რომ ავლენენ გამარჯვებულებს და აწესებენ სათანადო პრემიებს. ისინი ანალიზს არ უკეთებენ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზებს. ამავე დროს შეჯიბრების შედეგებს განიხილავენ მხოლოდ იმ საწარმოთა მიხედვით, რომლებიც პირველობის პრეტენზიას აცხადებენ.

საჭიროა მთელი სიმტკიცით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სოციალისტურ შეჯიბრებაში, ავიყვანოთ იგი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, მოვაწყოთ იგი რაიონებს, ქალაქებსა და რესპუბლიკებს შორის, რასაც მოგვიწოდებს ჩვენი პარტიის XX ყრილობა.

სკკპ XX ყრილობაზე სერიოზული ყურადღება მიექცა საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესების საკითხს; რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით, გვიადვილებენ ვამხილოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციაში.

რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ რამდენადმე გაუმჯობესეს საწარმოო თათბირების მუშაობა.

მაგრამ რესპუბლიკის ბევრი პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს საწარმოო თათბირების მუშაობას, არ იყენებს მათ როგორც წარმოების გაძღოლაში აქტიური მონაწილეობისათვის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეების ფართო მასების მიზიდვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

მეექვსე ხუთწლედის ამოცანების შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნის გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რომ გაუმჯობესონ წარმოება, განავითარონ ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია.

რესპუბლიკაში 5 ათასზე მეტი გამომგონებელი და რაციონალიზატორია. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე დაინერგა 13 ათასზე მეტი წინადადება, რომლებმაც მოგვცა 90 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

სამწუხაროდ, მუშათა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეში ბევრ სამინისტროსა და საწარმოს სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. იშვიათი როდია საქმის ბიუროკრატიულად გაჭიანურების ფაქტები, რასაც ფესვი გაუდგამს ცალკეულ საწარმოებსა და სამინისტროებში და რაც ძლიერ აფერხებს ცოცხალ საქმეს, ახშობს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითს აზრს.

კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის გამოხატავს აგრეთვე შრომის დაცვის ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომლის განხორციელება შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

განვლილი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოებში შრომის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხების შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოტანილმა დადგენილებებმა.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა მთლიანად რესპუბლიკაში გაუმჯობესდა, ამ უბანზე ბევრი ნაკლია. ჯერ კიდევ არიან ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც შრომის დაცვას უყურებენ როგორც მეორეხარისხოვან საქმეს. ამაში საგრძნობწილად მიუძღვით ბრალი პროფორგანიზაციებს და პირველ რიგში ტექნიკურ ინსპექტორებს, რომლებიც ხშირად პრინციპულობას ვერ იჩენენ, ვერ იყენებენ თავიანთ უფლებებს და არ იღებენ ღონისძიებებს დამრღვევთა წინააღმდეგ.

საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხს და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კოლექტიურ ხელშეკრულებათა მნიშვნელობას საწარმოთა ცხოვრებაში. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა: „ძალიან ხშირად ეს ხელშეკრულებები არ სრულდება, პროფკავშირები კი დუმან, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს“.

ქვანახშირის, სატყეო მრეწველობის, სასურსათო საქონლისა და რძის პროდუქტების მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის ბევრ საწარმოში, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მშენებლობებზე, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ცუდად სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის უყურადღებობის შედეგად რესპუბლიკის 103 მტს-იდან 56-ში 1955 წელს არც ერთხელ არ მომხდარა კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება.

საჭიროა ეს ნაკლი სწრაფად აღმოვფხვრათ. პროფკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ უნდა იბრძოდნენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას, როგორც მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებში აშენდა 356 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის სახლები, ხოლო მუშა-მოსამსახურეებმა საკუთარი დანაზოგებით აიშენეს ინდივიდუალური სახლები 240 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი.

მაგრამ საბინაო მშენებლობის ტემპები სერიოზულად ჩამორჩება. ამასთან ბევრი სამინისტრო და უწყება სისტემატურად არ ასრულებს საბინაო მშენებლობის გეგმებს. 1954 წელს მთლიანად რესპუბლიკაში გეგმა შესრულებულ იქნა 73,5 პროცენტით. ხოლო 1955 წელს — 77,9 პროცენტით. საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულება საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით უკანასკნელ ორ წელიწადში 50 პროცენტს არ აღემატება.

პროფკავშირული ორგანიზაციები,

ფართოდ მოვაწყოთ ჰიბრიდული თესლის გამოყვანა

18 აპრილს თბილისში შედგა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი საქართველოში სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების კონკრეტული ამოცანების განსახილველად. თათბირზე ჩამოვიდნენ იმ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და აგრონომები, იმ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომლებიც სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოებაზე მუშაობენ, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა სპეციალისტები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიის სოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. მ. ჰ. გიორგაძემ.

სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების ორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ვ. გ. ქერქაძემ. ილაპარაკა რა იმ ამოცანებზე, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა მარცვლეულის და, კერძოდ, უძვირფასესი სასუნსთო და მარცვლეულ-საფურაჟე კულტურის — სიმინდის წარმოების გაფართოების დარგში, ამხ. ქერქაძე შეეხო საქართველოში სიმინდის მოყვანის საკითხებს. გასული წელს 1954 წელთან შედარებით სიმინდის საერთო მოსავალი გაიზარდა 12,5 პროცენტით და შეადგინა მარცვლეულის საერთო მოსავლის 49 პროცენტი.

სიმინდის წარმოების გაფართოებამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მეცხოველეობის განვითარებაზე. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა 103 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

თანამედროვე მეცნიერებამ, აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სიმინდის მოსავლიანობის ამაღლებისა და მარცვლეულის საერთო მოსავლის გაზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიბრიდული თესლით თესვაზე გადასვლას. მაგრამ დღემდე საქართველოში სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოება სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული.

— ახალ ხუთწლედში სიმინდის ჰიბრიდული თესლით მასობრივ თესვაზე გადასვლა, — თქვა შემდეგ მომხსენებელმა, — უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს მარცვლეულის წარმოების გადიდების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამომცდელი სახელმწიფო კომისიის მონაცემები მოწმობენ, რომ დარაიონებული ჰიბრიდები ჩვენში იძლევიან მოსავალს, რომელიც 15-30 და კიდევ მეტი პროცენტით აღემატება ჩვეულებრივი ჯიშებისაგან მიღებულ მოსავალს.

ჰიბრიდების გამოყვანა და მათი გამოცდა საქართველოში მხოლოდ 1948 წელს დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგური თავისი სამმაგი ჰიბრიდებით ძირითადად მუშაობდა ჯიშთაშორის და ჯიშხაზოვან ჰიბრიდებზე და მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეუდგა ორმაგი ჰიბრიდების გამოყვანას ერთ-ერთი ჩამორჩენილი ტიპია აბანო-სამრეცხაოთა მეურნეობა, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას ახალგაზრდა მუშების აღზრდა შრომისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ბევრი საწარმოს, უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდა მუშებში და სტუდენტებში შრომითი და სასწავლო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, არ იჩენენ ზრუნვას მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალგაზრდა მუშათა და სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება საერთო საცხოვრებლებში.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიღებულ იქნა რესპუბლიკის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე კვლავ დიდი ნაკლოვანებებია. ძალიან ცუდად არის დაყენებული საზოგადოებრივი კვება. ბევრ სასადილოში უგემური და ერთფეროვანი საჭმელი მზადდება. კერძების ხარისხი დაბალია. ძალიან ცოტას ამზადებენ ბოსტნეული კერძებს, მთელ რიგ სასადილოებში არ ჰყოფნით ინვენტარი და ჭურჭელი.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს საზოგადოებრივ კონტროლიორთა მუშაობის აქტივიზაციას. რესპუბლიკის სავაჭრო ქსელზე მიმაგრებული კონტროლიორთა 8-ათასიანი არმია ძალიან ცუდად არის გამოყენებული. ბევრი საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის საზოგადოებრივი კონტროლიორები შემთხვევიან შემთხვევამდე მუშაობენ, მათი ნაწილი კი სრულ უმოქმედობას იჩენს.

პროფკავშირების საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობას. იგი ემსახურება მასების კომუნისტურ აღზრდას, ეხმარება სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების იმ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პარტია უსახავს საბჭოთა ხალხს. პროფკავშირული კულტდაწესებულებების მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის პოლიტიკური, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ავალებენ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ ლექციური პროპაგანდის საქმე, სერიოზული ყურადღება მიაქციონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის კონკრეტული ეკონომიკის საკითხების ფართო პოპულარიზაციას.

მშრომელთა კულტურული აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა მხატვრული თვითმოქმედება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. რესპუბლიკის თვითმოქმედმა კოლექტივებმა მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზე მაღალი შეფასება მიიღეს. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ამ საქმის მხოლოდ შეუფასებლობით და მისდამი არასერიოზული დამოკიდებულებით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამენ მასალათა მრეწველობის მუშათა, კავშირგაბმულობის მუშაკთა, ავიამუშაკთა, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მუშათა, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების არც ერთ თვითმოქმედ კოლექტივს არ მიუღია მონაწილეობა შარმან მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაში.

პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურულ-მასობრივი და სასპორტო მუშაობის საკითხებს. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები, რომლებიც ნებაყოფლობითს სასპორტო საზოგადოებებს წლიდან წლამდე ეძლევათ, ძირითადად სრულდება. „მშთ“ ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადება უმჯობესდება, ცალკეული წარმატებები აქვთ ჩვენს წამყვან სპორტსმენებსა და კოლექტივებსაც საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში.

მაგრამ ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის საერთო დონე და სხვადასხვა სახის სპორტის ბევრი მაჩვენებელი მაინც კვლავ დაბალია. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ფიზკულტურასა და სპორტში არ არის ნაბდვილი მასობრივობა. ფიზკულტურის ბევრი კოლექტივი სუსტად მუშაობს, მათდამი ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ ფიზკულტურული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროთა, საწარმოთა, უწყებათა ხელმძღვანელები.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რასაც საქართველოს პროფსაბჭო ეწევა, მიმართულია იქითკენ, რომ განმტკიცდეს პროფკავშირული ორგანიზაციების ყველა რგოლი, პრაქტიკული დახმარება გაეწიოთ მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში, გაფართოვდეს პროფკავშირული აქტივის რიგები, გაუმჯობესდეს მისი სწავლება და აღზრდა.

რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა, დარბოლის ჰიბრიდების თესლით. სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების ორგანიზაციის ლონისძიებათა შესახებ იმ დადგენილების შესაბამისად, რომელიც ამას წინათ მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, 1959 წლისათვის საქართველოში წარმოებულ უნდა იქნას 4.300 ტონა პირველი თაობის ჰიბრიდული თესლი. ამით უზრუნველყოფილი იქნება 1960 წლისათვის 130.000 ჰექტარის დათესვა ჰიბრიდული თესლით, რაც სიმინდის მთელი ნათესების 46,5 პროცენტს შეადგენს.

პირველი თაობის ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის საქართველოში სპეციალურად გამოყოფილია 80 კოლმეურნეობა, მათგან 47 უკვე წელს გამოიყვანს ჰიბრიდულ თესლს და ფიაფუდის მას. რესპუბლიკის სხვა მეურნეობებს.

საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის და საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს დიდი მუშაობა მოელით მაღალმოსავლიანი ბაზთაშორისი ჰიბრიდების გამოსაყვანად, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ადგილობრივ პირობებს.

დასასრულ ამხ. ქერქაძე აღნიშნავს, რომ საჭიროა მინდვრის საგაზიფხულო სამუშაოები და, კერძოდ, სიმინდის თესვა ჩატარდეს საუკეთესო ვადებში და საუკეთესო ხარისხით.

ვ. გ. ქერქაძის მოხსენების შემდეგ გაჩაღდა კამათი. პირველი გამოვიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექციისა და მეთესლეობის კათედრის გამგე პროფესორი ლ. დეკაპრელევიჩი.

— ჰიბრიდული სიმინდის უპირატესობანი, — ამბობს იგი, — იმდენად დიდია, რომ ჰიბრიდული სიმინდი შეიძლება მივიჩნიოთ, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, კულტურულ მეცნიერთა ახალ ფორმად, რომელიც ადამიანმა XX საუკუნის მეორე მეოთხედის განმავლობაში შექმნა.

ამხ. დეკაპრელევიჩი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა ჰიბრიდს (ჯიშთაშორისს, ხაზთაშორისსა და ორმაგს) ჰიბრიდული სიმძლავრე აქვს და მაღალ მოსავალს იძლევა მხოლოდ პირველ თაობაში.

საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის მთავარი ამოცანაა თვითდამტკვერილი ხაზების გამოყვანა ძველი ადგილობრივი ჯიშებიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ სიმინდის სელექციაში ძირითადი მიმართულებაა ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდების, როგორც ყველაზე უფრო მოსავლიანი ჰიბრიდების მიღება. ამ ჰიბრიდებმა უნდა შეცვალონ დასავლეთ საქართველოს ჯიშებიც, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს თანდათანობით, ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანის კვალობაზე.

გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. თავზარაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ შარშან როგორ დაეხმარა სიმინდი რაიონის კოლმეურნეობებს მარცვლეულის და მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების გადიდების საქმეში. ამასთანავე მან თათბირის მონაწილეებს გააცნო შედეგები ჰიბრიდული სიმინდის „კრასნოდარული-5“ დანერგვისა სოფელ კარალეთის მეთესლეობის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“.

— ჩვენს სადგურს, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის დირექტორმა მ. წულუკიძემ, — ამჟამად აქვს სიმინდის თვითდამტკვერილი ხაზები, რომლებიც მიღებულია ისეთი კარგი „ადგილობრივი“ ჯიშებიდან, როგორიც არის „აბაშის ყვითელი“, „აჯამეთის თეთრი“, „გეგუთის ყვითელი“, „იმერული ჰიბრიდი“, „ქართული კრუგი“.

შეეხო რა ჰიბრიდული თესლის გამოყვანას, ამხ. წულუკიძემ თქვა, რომ დიდ ეფექტს იძლევიან ჯიშხაზოვანი ჰიბრიდები და განსაკუთრებით თვითდამტკვერილი ხაზოვანი ჰიბრიდები.

— სადგურის მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში დახმარება გვესაჭიროება, — თქვა ამხ. წულუკიძემ. — კერძოდ, სადგურის განკარგულებაში უნდა გამოიყოს მიწის შესაფერი ნაკვეთები დასავლეთ საქართველოში სასელექციო მუშაობის ფართოდ გაჩაღებისათვის.

— სიმინდის მოყვანისათვის ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, — თქვა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ა. ღვინჯილიამ, — შარშან მისმა საშუალო მოსავლიანობამ ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 11,7 ცენტნერი მარცვალი შეადგინა. ასეთი დაბალი მოსავლიანობა იმის შედეგია, რომ ჩვენი სამინისტრო და მისი სპეციალისტები, მტს-ების მუშაკები საკმაოდ არ ებრძვიან აგროტექნიკის დარღვევის ფაქტებს, სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობებს მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებაში.

— აფხაზეთში, — ამბობს ამხ. ღვინჯილია, — არ არის მარცვლეული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი. საქართველოს სასელექციო სადგურის მუშაკები დახმარებას უნდა უწევდნენ ჩვენს კოლმეურნეობებს სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების დარგში მუშაობის მოსაგვარებლად.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგემ პროფესორმა ი. ლომოურმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სიმინდის სელექციის აქტუალურ საკითხებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის საჭიროა მაღალი აგროტექნიკა. ჰიბრიდის ბუნება, მისი ორგანიზმი სეროზულ, გულისხმიერ მუშაობას მოითხოვს. თუ ჰიბრიდიზაციის ნაკვეთებზე გამოყენებულ არ იქნა მაღალი აგროტექნიკა, შედეგი ეფექტიანი ვერ იქნება.

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორმა გ. ვაშაძემ თათბირის მონაწილეთა გაუზიარა მექანიზატორთა მუშაობის გამოცდილება სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის ჩატარებაში და ნათესების ორი მიმართულებით მექანიზებულ დამუშავებაში. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ ჰიბრიდული თესლის გამოყენებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ძერჟინსკის სახელობისა და ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაშლეს. წელს ჰიბრიდიზაციის ნაკვეთებზე ჰიბრიდული თესლის გამოყენის ყველა სამუშაო დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში შესრულდება.

— ჩვენს საბჭოთა მეურნეობას, — თქვა მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის თავმჯდომარემ ა. აგრონომმა ო. დენისოვმა, — ჰიბრიდების გამოყვანის ერთგვარი გამოცდილება აქვს. ჩვეულებრივად ჩვენ ვთესავდით სიმინდის ორ ჯიშს — „ქართულ კრუგს“ და „პრაიდ-ოფ-სალინს“. ჩვენს პირობებში ისინი კარგ შედეგებს გვაძლევდნენ. 1955 წელს მარცვლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 45,5 ცენტნერი შეადგინა.

ჰიბრიდული თესლი რომ მოგვეღო, მშობლურ ფორმებად ეს ჯიშები გამოვიყენეთ. ჰიბრიდი კარგი გამოვიდა.

წელს ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის 10 ჰექტარი ნაკვეთი გამოვყავით. ჰიბრიდიზაციის ნაკვეთი კარგად დავამუშავეთ და გავაპატიეთ. დავთესავთ დაყალიბებულ თესლს, კვადრატულ-ბუდობრივი სითესი მანქანებით. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ჰექტარზე სულ მცირე 30 ცენტნერი ჰიბრიდული თესლის მიღება.

— სიმინდი დიდ შესაძლებლობათა კულტურაა, — თქვა გუდაუთის რაიონის სოფელ ახალოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. კერესელიძემ. სიმინდის მეოხებით საზოგადოებრივი მეცხოველეობა აღმავლობის გზას დაადგა, იმატა წველადობამ. ჩვენი კოლმეურნეობა მეთესლეობის კოლმეურნეობაა. კოლმეურნეები ძალიან დაინტერესებული არიან იმით, რომ მტკიცე საფუძველზე დააყენონ სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისა და ჰიბრიდული თესლის წარმოების საქმე.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — განაცხადა დასასრულ ამხ. კერესელიძემ, — სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებას“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის კასპის რაიკომის მდივანმა გ. კენჭოშვილმა, კაკრეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ასანიშვილმა, სტალინირის მტს-ის მთავარმა აგრონომმა გ. ახვლედიანმა, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის (ბათუმის რაიონი) აგრონომმა ა. ჯორბენაძემ და სხვებმა.

„ვეფხისტყაოსანი“ იაპონურ ენაზე

1956 წელს გამომცემლობა „დაი ნიპონ ოუბენკაი კოდანსიამ“ გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსანის“ იაპონური პროზაული თარგმანი. მთარგმნელს ფუკურო იპეის გამოუყენებია რუსთაველის პოემის რუსული თარგმანები, შესრულებული შალვა ნუცუბიძისა და გიორგი ცაგარლის მიერ. „ვეფხისტყაოსანი“ შეტანილია იაპონურ ენაზე თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ძეგლთა ბიბლიოთეკაში. წინასიტყვაობაში მთარგმნელი მოკლედ ეხება საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას XI-XII საუკუნეებში. აქვე იგი მკითხველს აწვდის ზოგიერთ ცნობას პოეტის ცხოვრების შესახებ.

მთარგმნელი იძლევა პოემის მთავარ გმირთა დახასიათებას, რასაც თან ერთვის სათანადო ილუსტრაციები.

„ვეფხისტყაოსანი“ მხატვრულად გაფორმებულია ტადაიჩის მიერ. როგორც ჩანს, მხატვარს გამოუყენებია ზიჩის და ი. თოიძის მიერ შესრულებული სურათები. პოემას დართული აქვს ბოლოსიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია ძველი ქართული კულტურის განვითარების მაღალი დონე. ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ:

„უაულტურო ქვეყანაში გენიოსები ვერ დაიბადებიან და ვერ იარსებენენ. ძველი საქართველოს კულტურა ძლიერ მაღალი იყო, და სწორედ ამიტომ დაიბადა იქ ისეთი ბუმბერაზი პოეტი, როგორიც რუსთაველია“.

ბოლოსიტყვაობაში ნათქვამია, რომ მაშინ როცა იაპონიაში ფეოდალური ომები წარმოებდა, ხოლო ევროპაში ინკვიზიცია მძვინვარებდა, საქართველოში შოთა რუსთაველი მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის დიად იდეებს ქადაგებდა.

სამწუხაროდ, მთარგმნელი და რედაქტორი საკმაოდ არ იცნობენ საქართველოს ისტორიას, რის შედეგადაც შესავალში და ბოლოსიტყვაობაში დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომები. მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანის“ იაპონური თარგმანი დიახმარება იაპონელ მკითხველს გაიცნოს საქართველოს წარსულის მდიდარი კულტურა.

სურათზე: „ვეფხისტყაოსნის“ გარეკანი.

გ. ჭელიძე.

ი. ურჯუმელაშვილის მოთხრობა „დღეები კორეაში“ კორეულ ენაზე

ჟურნალ „კორეა-საბჭოთა კავშირის“ 1955 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნებულია ი. ურჯუმელაშვილის მოთხრობა „დღეები კორეაში“, კორეულ ენაზე თარგმნილი მწერალ პაკ ჩენ ბონის მიერ.

მოთხრობას დართული აქვს ბოლოსიტყვაობა, რომელშიც მთარგმნელი მაღალ შეფასებას აძლევს ი. ურჯუმელაშვილის ნაწარმოებს. იგი აღნიშნავს, რომ ურჯუმელაშვილი უშუალო მონაწილეობას იღებდა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში და მოწმე იყო იმ ამბებისა, რომლებზეც აგებულია მოთხრობა.

საგზოთა მშენებლობა

ეროვნული ტრადიცია

ნარმოდგენა და სინამდვილე

დილა იყო, როცა არახლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომში მივედით. ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკთა წარმოდგენით ეს სასოფლო საბჭო რაიონში მოწინავეა. ამიტომ გადავწყვიტეთ მის გამოცდილებას გავცნობოდით.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. მუსაევმა, როცა ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, ღიმილით გვითხრა:

— იცით, ალბათ, რომ ჩვენი სასოფლო საბჭო მოწინავეა რაიონში.

აღმასკომის მუშაობის შესწავლამ სულ სხვა სურათი გვიჩვენა, დაგვარწმუნა, თუ რა დიდი განსხვავებაა წარმოდგენასა და სინამდვილეს შორის.

დავიწყოთ სოფლის კეთილმოწყობის საკითხით, რაც საერთოდ სასოფლო საბჭოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. არ იგრძნობა, რომ არახლოს სასოფლო საბჭო ამ საკითხისადმი ინტერესს იჩენდეს.

სოფელს სასმელი წყალი არ ჰქონდა. მოსახლეობა მდინარე ხრამის წყალს იყენებდა. სამი წლის წინათ ჭები ამოიღეს და საქაჩავები მოაწყეს. საქმე თითქოს მოგვარდა. სამწუხაროდ, ეს საქაჩავები მალე გამოვიდა მწყობრიდან და ვინაიდან მათი აღდგენისათვის არავინ იზრუნა, მოსახლეობა იძულებული გახდა ისევ ხრამის წყალს დაბრუნებოდა.

უპატრონოდ არის მიტოვებული სასოფლო გზები, ცუდ ამინდებში გაუვალი ტლაპო დგება და მოძრაობა ძნელდება, რაც მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა არც გზების კეთილმოწყობა მიიჩნია თავის საქმედ.

სასოფლო საბჭო დაინტერესებული არ არის სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით. ასე რომ არ იყოს, სოფლის საავადმყოფოს მუშაობის უკეთესი პირობები ექნებოდა. საავადმყოფო ამბულატორიიდან შორს, დაქირავებულ სახლშია მოთავსებული. ამბულატორიის გვერდით კი ბინაში საავადმყოფოს გამგე გ. ქობულოვი ცხოვრობს. იქ თამამად შეიძლებოდა საავადმყოფოს გამართვა, სასოფლო საბჭოს აღმასკომს გ. ქობულოვისათვის სხვა ბინა რომ გამოენახა.

მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არავის აღარ ახსოვს, თუ როდის უჩვენეს სოფელში უკანასკნელად კინოსურათი, ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომს, როგორც ჩანს, ეს ნორმალურ მდგომარეობად მიაჩნია. სოფლის სამკითხველო სავალალო მდგომარეობაშია. სამკითხველოს ბინა ნახევრადნგელია, ამასთან მას დიდი ხანია რემონტი სჭირდება. არახლოში ჯერ კიდევ 1936 წელს დაიწყო კლუბის მშენებლობა. 20 წლის განმავლობაში კლუბის შენობის მხოლოდ კედლების სანახევროდ ამოყვანა ძლივს მოახერხეს, დამთავრებისთვის კი არავინ ზრუნავს.

ყოველივე ეს განა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ არახლოს სასოფლო საბჭო მოწინავეა რაიონში? ცხადია, არა!

დასკვნა ერთია: ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები არახლოს სასოფლო საბჭოს მუშაობას შეფასებას აძლევენ მხოლოდ გადასახადების გეგმების შესრულების მიხედვით, ხოლო კონკრეტულად როგორ ხელმძღვანელობს საბჭო სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, ამას, როგორც ჩანს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

არახლოს სასოფლო საბჭოს რაისაბჭოს აღმასკომის სერიოზული დახმარება სჭირდება.

ი. ისმაილოვი,
ბოლნისის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ მდივანი,

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ავამაღლოთ სასკოლო პაგჩიული ორგანიზაციების როლი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 11 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო სამტრედიის რაიონში სასკოლო პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომმა, რომელმაც შეისწავლა და განიხილა წერილში მოყვანილი ფაქტები, გაზეთის კრიტიკა სწორად ცნო. რაიკომის ბიურომ აღნიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„როცა საქმე ბოლომდე არ მიკყავთ“

„კომუნისტში“ ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბორჯომის ახალ უბანში გზები კეთილმოუწყობელია, მოუწესრიგებელია ქუჩების განათება, უბნის მცხოვრებლებს სასმელი წყალი აკლიათ და სხვ.

ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თავის სხდომაზე განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აღმასკომმა დაავალა კომუნალური მეურნეობის განყოფილებას მიმდინარე წელს დაამთავროს კეცხოფილებასთან ერთად შეისწავლოს ახალი უბნის ქუჩების განათების საკითხი და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს ქუჩების განათება.

...ნაკლოვანებანი

...ნაკლოვანებანი

ნაცვლად იმისა, რომ მტკიცე კონტროლი დაეწესონ საბინაო მშენებლობის სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი, ურიგდებიან ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში. საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა რაოდენობა თბილისში სრულიად არასაკმარისია, ხოლო რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სამრეწველო რაიონში ასეთი დაწესებულებები სულაც არ არის. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი დაწესებულება ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს. რესპუბლიკაში ერთი-ერთი ჩამორჩენილი ტიპია აბანო-სამრეცხაოთა მეურნეობა, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას ახალგაზრდა მუშების აღზრდა შრომისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ბევრი საწარმოს, უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდა მუშებში და სტუდენტებში შრომითი და სასწავლო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, არ იჩენენ ზრუნვას მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალგაზრდა მუშათა და სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება საერთო საცხოვრებლებში.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიღებულ იქნა რესპუბლიკის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე კვლავ დიდი ნაკლოვანებებია. ძალიან ცუდად არის დაყენებული საზოგადოებრივი კვება. ბევრ სასადილოში უგემური და ერთფეროვანი საჭმელი მზადდება. კერძების ხარისხი დაბალია. ძალიან ცოტას ამზადებენ ბოსტნეული კერძებს, მთელ რიგ სასადილოებში არ ჰყოფნით ინვენტარი და ჭურჭელი.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს საზოგადოებრივ კონტროლიორთა მუშაობის აქტივიზაციას. რესპუბლიკის სავაჭრო ქსელზე მიმაგრებული კონტროლიორთა 8-ათასიანი არმია ძალიან ცუდად არის გამოყენებული. ბევრი საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის საზოგადოებრივი კონტროლიორები შემთხვევიან შემთხვევამდე მუშაობენ, მათი ნაწილი კი სრულ უმოქმედობას იჩენს.

პროფკავშირების საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობას. იგი ემსახურება მასების კომუნისტურ აღზრდას, ეხმარება სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების იმ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პარტია უსახავს საბჭოთა ხალხს. პროფკავშირული კულტდაწესებულებების მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის პოლიტიკური, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ავალებენ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ ლექციური პროპაგანდის საქმე, სერიოზული ყურადღება მიაქციონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის კონკრეტული ეკონომიკის საკითხების ფართო პოპულარიზაციას.

მშრომელთა კულტურული აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა მხატვრული თვითმოქმედება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. რესპუბლიკის თვითმოქმედმა კოლექტივებმა მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზე მაღალი შეფასება მიიღეს. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ამ საქმის მხოლოდ შეუფასებლობით და მისდ

„ჩვენ გვსურს მეგობრობა საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის“

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ გი მოლეს და საგარეო საქმეთა მინისტრ კრისტიან პინოს საუბრები საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაციასთან

პარიზი, 25 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობის მოწვევით საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია საფრანგეთში ჩამოვიდა, რათა გაიცნოს ფრანგი ხალხის ცხოვრება, დაამყაროს კონტაქტები ფრანგ ჟურნალისტებთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ურთიერთგაცნობა ხელს უწყობს ხალხთა უკეთეს ურთიერთგაგებას, მათ შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებას, ემსახურება მშვიდობის საქმეს.

უკანასკნელ დღეებში დელეგაციის მონაწილენი მოგზაურობდნენ საფრანგეთში. ყველგან — როგორც ლიონსა და მარსელში, საფრანგეთის ამ უდიდეს კულტურულ და სამრეწველო ცენტრებში, ისე პატარა ქალაქებსა და დაბებში — ისინი ხვდებოდნენ ჩვენი ქვეყნისადმი უაღრესად ცხოველი ინტერესის გამოვლინებას. ერთ პატარა ქალაქში მერმა, ხანში შესულმა კაცმა, საბჭოთა ჟურნალისტებს მგრძნობიარედ უთხრა:

— მთელმა ჩემმა ჭაბუკობამ განვლო საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის ნიშნით, რომელიც საჭირო და სასარგებლოა როგორც თქვენი, ისე ჩვენი ქვეყნისათვის. ბედნიერი ვარ ჩვენს პატარა ქალაქში მივესალმო საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, და, მერწმუნეთ, ამ გრძნობებს იზიარებს ჩემი თანამემამულეების უმრავლესობა.

ასეთი შეხვედრა გვინერგავს რწმენას, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განმტკიცება და გაფართოება მომწიფებული აუცილებლობაა, ჩვენი დროის უცილობელი მოთხოვნაა.

გუშინ საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა კრისტიან პინომ და პრემიერ-მინისტრმა გი მოლემ.

მიიღო რა საბჭოთა ჟურნალისტები საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში, კრისტიან პინომ თქვა, რომ ასეთი ვიზიტები ხელს უწყობენ დაახლოებას საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის. „მე მუდამ ვემხრობოდი ასეთ კონტაქტებს, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — რადგან მარტო დიპლომატიური ურთიერთობა საკმაო როდია. საჭიროა, რომ თქვენს ქვეყანაში ჩამოდიოდნენ ჩვენი ინჟინრები, სტუდენტები, ჟურნალისტები და მუშები, ხოლო თქვენი ადამიანები უფრო ხშირად ესტუმრებოდნენ საფრანგეთს“.

შეეხო რა საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელთა მომავალ გამგზავრებას მოსკოვში, პინომ განაცხადა: „მე მომავალი გამგზავრება მოსკოვში მაინტერესებს არა მარტო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ იმ როლის გათვალისწინებითაც, რომელიც შეიძლება ჩვენმა ორმა ქვეყანამ შეასრულოს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში“.

უპასუხა რა საბჭოთა ჟურნალისტების კითხვებზე, პინომ თქვა, რომ ბევრ დარგში საფრანგეთსა და სსრ კავშირს საერთო ინტერესები აქვთ. მაგრამ ამასთან ერთად არის გარკვეული სიძნელეებიც. რეალისტური მიდგომის პირობებში შეიძლება გამოინახოს სადავო საკითხების პრაქტიკული გადაჭრა. შემდეგ პინომ შენიშნა, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დაახლოება საჭიროა არა მარტო ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ალაპარაკა განიარაღების პრობლემაზე და თქვა, რომ ყოველგვარ პროგრესს ამ დარგში შეეძლია შექმნას სხვა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის ხელსაყრელი პირობები.

უპასუხა რა კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ახალი თათბირის მოწვევა ინდოჩინეთის საკითხებზე, პინომ განაცხადა, რომ ეს თათბირი საინტერესო იქნებოდა, მასში მონაწილეობაზე რომ დათანხმდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და სამხრეთი ვიეტნამი. წინააღმდეგ შემთხვევაში თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელება, მისი აზრით, არ მოხერხდებოდა. საფრანგეთი, თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ძნელ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, იგი უნდა მოქმედებდეს, როგორც შეთანხმებათა გარანტი, ხოლო მეორე მხრივ — ამ შეთანხმებებში არის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ინდოჩინეთიდან საფრანგეთის ჯარების გამოყვანას.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ გი მოლეს

პინო შეეხო საკითხს, რომ საჭიროა ატლანტიკის კავშირის ევოლუცია, და თქვა, რომ რამდენადაც საერთაშორისო დაძაბულობა შენელდება, ამდენად უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებათა საკითხი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი გახდება, ვიდრე სხვა პრობლემები.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემების შესახებ პინომ თქვა, რომ საფრანგეთის მთავრობის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ არ დაუშვას ომი ისრაელსა და არაბთა ქვეყნებს შორის. მან აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ შეწყდეს იარაღის მიწოდება დედამიწის ამ რაიონში, და შენიშნა, რომ იარაღის ასეთი მიწოდება ქმნის მხოლოდ კონკურენციას დიდ სახელმწიფოთა შორის, რაც საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის. მან განაცხადა, რომ საჭიროა ამ რაიონში განხორციელდეს დამშვიდების საერთო პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში.

დასასრულ პინომ თქვა, რომ მოსკოვში მომავალი გამგზავრების დროს საფრანგეთის მთავრობა მოსარული იქნება კონტაქტი დაამყაროს არა მარტო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან, არამედ თვით ხალხთანაც. „გადაეცით საბჭოთა ხალხს, — განაცხადა მან, — რომ ჩვენ გვსურს მეგობრობა საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის“.

დამთავრდა საბჭოთა ჟურნალისტებს საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრთან. საუბარმა ერთ საათს გასტანა. ჟურნალისტები ტოვებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ძველისძველ შენობას, რათა გაემგზავრონ პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში — ოტელ „მატინიონში“.

მეორე სართულზე პატარა ოთახში, რომელშიც დაფენილი იყო რბილი ხალიჩები და კედლებზე ეკიდა გობელენები, მოხდა შეხვედრა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ გი მოლესთან. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჟურნალისტები პრემიერ-მინისტრს წარუდგინეს, მან შემდეგი განცხადება წაიკითხა:

„ძალიან მოხარული ვართ მიგიღოთ აქ თქვენ, საბჭოთა პრესის წარმომადგენლები. ეს არის მხოლოდ პირველი კონტაქტი თქვენთან, რადგან, უეჭველია, შესაძლებლობა მექნება ხშირად შეგხვდეთ რამდენიმე კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის დროს.

თქვენი აქ ყოფნის დროს შესაძლებლობა გქონდათ გაგეცნოთ ჩვენი ქვეყნის — მისი სოფლების ცხოვრების მრავალი მხარე, მისი ზოგიერთი უკანასკნელი მიღწევა: მარსელის ნავსადგური, ლიონის რაიონის მრეწველობა, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი დონზერ-მონდრაგონში, რომელიც რონზე სამუშაოთა დიდი კომპლექსის ერთ-ერთი ელემენტია. მოკლე ვადის მიუხედავად, თქვენი მოგზაურობა შესაძლებლობას მოგცემთ გაიცნოთ საფრანგეთის ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

კარგია საკუთარი თვალით ნახო ყველაფერი და ამოგზარდო. მაგრამ, შესაძლოა, ეს კიდევ არ იყოს საკმარი: საჭიროა აგრეთვე ეცადო დაანახო საქმის რეალური მდგომარეობა“.

„იდეა, რომ ზოგიერთი სოციალური სტრუქტურა განწირულია, ხოლო სხვებმა გარდუვალად უნდა შეცვალონ ისინი, შესაძლებელია, ინტერესს წარმოადგენდეს თეორეტიკოსებისათვის, — განაგრძო პრემიერ-მინისტრმა. — იგი რომ მეტად კატეგორიულად გამოვაყენოთ, მან შეიძლება ყალბი ეზრი წარმოშვას. ჩვენს ქვეყანაში აგრეთვე ზოგჯერ წინასწარ შედგენილი შეხედულება გვქონდა თქვენს ქვეყანაზე, და ეს, როგორც დარწმუნებული ვართ, საზიანო იყო. ასეთ პოზიციაზე ხელი უნდა ავიოოთ. ჩვენ ყოველთვის პირველ პლანზე უნდა დავაყენოთ რეალური ადამიანები და ხალხები, მათი მისწრაფებანი, იმედები და საზრუნავი“.

შემდეგ ბ-ნი გი მოლე ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც საფრანგეთი თავისი ეკონომიკის განვითარებისათვის იღებს: „ზოგიერთ სექტორში არის მნიშვნელოვანი განვითარება, როგორც, მაგალითად, ნავთობის, საავტომობილო მრეწველობის ან ელექტროენერგიის წარმოების დარგში. აღმოჩენილ იქნა ნავთობის მნიშვნელოვანი საბადოები და ამავე დროს საფრანგეთმა დაიწყო ურანის წარმოება, რამაც იგი ატომის ენერგიის მწარმოებელ მსოფლიოს პირველ ქვეყნებს შორის დააყენა. ეკონომიკის ძირითად დარგებში განხორციელებულია ნაციონალიზაცია: ნაციონალიზებულია ელექტროსადგურები, ქვანახშირის მრეწველობა, ბანკები, რკინიგზები“.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ილაპარაკა უკანასკნელ სოციალურ ღონისძიებებზე, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს.

„საერთაშორისო ვითარებაში, — თქვა შემდეგ გი მოლემ, — საფრანგეთი მონაწილეობს კავშირებში... და მას განზრახული აქვს შეინარჩუნოს ერთგულება ამ კავშირებისადმი“.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს მოაგონა ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც საფრანგეთის საზოგადოებრიობას აღელვებს. „ერთ-ერთი ასეთი პრობლემა, — თქვა მან, — უდავოდ არის ჩრდილოეთ აფრიკის პრობლემა. დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენ ტუნისსა და მაროკოს მივანიჭეთ, თავისუფლად არჩეული ურთიერთდამოკიდებულების დაცვით, შეეფერება საფრანგეთის თავისუფლებისა და სულგრძელობის ტრადიციებს. ალჟირში საქმე ეხება ძმური თანაარსებობის დამყარებას ორ ხალხს შორის, რომლებიც ამ ქვეყანაში თანაბრად დამკვიდრდნენ, რომელთაგან ერთიცა და მეორეც მრავალრიცხოვანია: ევროპული წარმოშობის მოსახლეობა 1 მილიონზე მეტს შეადგენს, ხოლო მუსლიმანი მოსახლეობა — 8 მილიონს“. ილაპარაკა რა ალჟირის მდგომარეობაზე, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „საფრანგეთის მთავრობისა და ხალხის მთელი ღონისძიებანი მიმართულია ალჟირში მშვიდობის აღსადგენად“.

„ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ მთავარი მნიშვნელობა მივანიჭეთ ერთდროულად კონტროლირებელ და თანამიმდევრულ განიარაღებას, — გააგრძო პრემიერ-მინისტრმა. — როგორც ბ-ნმა ხრუშჩოვმა ლონდონში თქვა, ეს გულისხმობს ხანგრძლივ ღონისძიებებს. მაშასადამე, ჩვენ ვერ გადავდებთ სხვა საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას, სანამ ეს ღონისძიებანი დადებითს შედეგს არ მოიტანენ. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველგვარ პროგრესს ამ, ესოდენ დიდმნიშვნელოვან, დარგში ხელსაყრელი ეფექტი ექნებოდა სხვა დარგებისათვის.

ყველა ამ პუნქტებზე, აგრეთვე, უეჭველია, სხვა პუნქტებზეც ჩვენ შემთხვევა გვექნება მოველაპარაკოთ თქვენს ხელმძღვანელებს ჩვენი მომავალი ვიზიტის დროს. შევადაროთ ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს, რათა ერთობლივად ავიჩიჩოთ ყველაზე დასაბუთებული მათ შორის, — ასეთია ჩვენი მიზნები. რაც შემეხება მე, მივესალმები შეხედულებათა გულახდილი და პირდაპირი გაზიარების დროულობას და მოხარული ვარ, რომ ეს შესაძლებელი გახდა ახლა. დე ამ შეხვედრების სიკეთით ისარგებლოს ფედამიწის ყველა ხალხმა, რომლებიც ბედნიერებასა და მშვიდობას ესწრაფვიან!“

საბჭოთა ჟურნალისტებმა მადლობა გადაუხადეს პრემიერ-მინისტრს საფრანგეთის მთავრობის პოზიციის გაშუქების გამო და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა კეთილმოსურნეობით ეპყრობა კონტაქტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას.

უპასუხა რა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპისადმი საფრანგეთის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ, გი მოლემ განაცხადა, რომ ამჟამინდელს თავი შეეკავოს პასუხისაგან საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებამდე. მან განაცხადა, რომ საჭიროა კულტურული გაცვლისა და ურთიერთ ვიზიტების გაფართოება.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, გი მოლემ თქვა, რომ იგი პესიმისტი როდია, და ღრმა რწმენა გამოთქვა, რომ განიარაღება ხელსაყრელ ატმოსფეროს შექმნის მთელ მსოფლიოში. მისი სიტყვით, ამ საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ არა მარტო ანგარიში გაუწიოს მოპირდაპირე მხარის თვალსაზრისს, არამედ აგრეთვე უარი არ თქვას თავის წინანდელ პოზიციებზე, რომლებიც მათ წინათ განიარაღების საკითხში დაიკავეს.

კომუნიკე

კულტურული თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირის და მონღოლეთის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრულ ვითარებაში და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 1956 წლის 24 აპრილს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

ეს შეთანხმება ითვალისწინებს სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული ურთიერთობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებასა და განმტკიცებას კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის დარგში გამოცდილებისა და მიღწევების ფართო ურთიერთგაზიარებას და სხვ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. ტ. ფედორენკომ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. იდამჟაბმა.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. ა. ორვიდი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. კალშინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა უფლებრივ განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი ნ. გ. ეროფეევი, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ა. სლავნოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების სხვა მუშაკები; მონღოლეთის მხრივ — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ლ. ტოიბო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი დ. ცერენდორჟი, სსრ კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი დ. გომბოკაბი, სსრ კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანები ბ. დორვოლინი, გ. ვანდანი და სსრ კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სხვა მუშაკები.

ხელოვნების მუშაკთა თანამეგობრობა

ეროვნული გიგანტომანია

ქ. მამედოვი (მალხაზი). ფ. ახმედოვა (მარო). ა. ბ. ბუნიატ-ზადე (კიაზო).

„დაისი“ აზერბაიჯანელ მომღერალთა მონაწილეობით

დიდი სიყვარულით სარგებლობს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ მოძმე საბჭოთა ხალხებს შორის. მისი დადგმა განაახორციელეს საბჭოთა კავშირის მთელმა რიგმა საოპერო თეატრებმა.

მიმდინარე წლის 21 მარტს „დაისი“ პირველად იქნა წარმოდგენილი აზერბაიჯანის ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

სპექტაკლი დადგა აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ბადალბეილიმ, დირიჟორობდა აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტრახიმოვიჩი, მხატვრული გაფორმების ავტორია ე. ფატალიევი.

ქართულმა ოპერამ აზერბაიჯანელი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

24 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლში „დაისი“ მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო აზერბაიჯანელმა მომღერლებმა — ფრანგიზ ახმედოვამ (მარო), ქიაზიმ მამედოვმა (მალხაზი) და აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ალაბაბა ბუნიატ-ზადემ (კიაზო).

ქართველმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო აზერბაიჯანელი მომღერლები, რომლებმაც საუკეთესო ვოკალური მონაცემებთან ერთად დიდი არტისტული ოსტატობა გამოავლინეს. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ აზერბაიჯანელმა არტისტებმა ასე ორგანულად და ბუნებრივად შეისისხლხორცეს ქართული მუსიკის მთელი სპეციფიკა, სახეთა ღრმა გააზრებით ჩახწვდნენ ოპერის გმირთა ბუნებას, მათს განცდებს.

მაყურებლებმა ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოეს მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის ნიჭიერი ხელოვანნი.

დღეს აზერბაიჯანელი მსახიობები შეიარდ მიიღებენ მონაწილეობას ოპერა „დაისში“.

მჯიდრო შემოქმედებითი ურთიერთობისათვის

მრავალი საუკუნის ისტორია აქვს ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის მეგობრულ ურთიერთობას.

ჩვენ, აზერბაიჯანელი ხალხის წარმოგზავნილნი, დიდი მღელვარებით მოველოდით ქართველ საზოგადოებრიობასთან შეხვედრას.

მივიღეთ რა მონაწილეობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისში“, თვალნათლივ დავრწმუნდით, რა დაძაბული ყურადღებით, რა გულთბილობით შეგვხვდა ქართველი მაყურებელი.

ჩვენ, ამ შესანიშნავი ქართული ოპერის მონაწილენი, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მივუდექით ჩვენს რთულ შემოქმედებითს ამოცანებს.

სულით და გულით გვსურს მადლობა გადავუხადოთ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ნიჭიერ კოლექტივს და მის ხელმძღვანელობას, რომლებიც უდიდესი გულისხმიერებით დაგვეხმარნენ ქართულ სცენაზე სპექტაკლის განხორციელებაში.

მაგრამ ჩვენ, ამავე დროს, გვინდა სამდურავიც ვუთხრათ ზ. ფალიაშვილის თეატრის კოლექტივს, რომელიც ვალშია მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წინაშე. ჩვენ გვნდა ვიხილოთ ქართულ სცენაზე აზერბაიჯანელი კომპოზიტორთა ნაწარმოებები — უ. ჰაჯიბეკოვის ოპერა „ქოროღლი“, ფ. ამიროვის ოპერა „სეფილი“, ყარა ყარაევის ბალეტი „შვიდი მზეთუნახავი“.

გვსურს, რომ ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა ამ პირველი შეხვედრით არ დამთავრდეს, რომ ისინი უფრო სისტემატიურ ხასიათს ატარებდნენ.

გაუმარჯოს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ურყევ, ძმურ მეგობრობას!

ფრანგიზ ახმედოვა,
ქიაზიმ მამედოვი,
ალა-ბაბა ბუნიატ-ზადე.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

კიშინიოვი. 25 აპრილი. გაიმართა სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 2:2.

კიევი. 25 აპრილი. გაიმართა ლიდერი მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდა კიევის „დინამოს“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

ხარკოვი. 25 აპრილი. მატჩი ხარკოვში მოსკოვის „ტორპედოსა“ და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდებს შორის დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

სტალინო. 25 აპრილი. ლენინგრადის „ზენიტმა“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გამართა სტალინოში ადგილობრივ „ზანტიორთან“. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა, მე-16 ტური.

ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილისა და კაკაბაძის პარტია. გაფრინდაშვილმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა შეხვედრის დასაკვნითი ნაწილი და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

ამავე დღეს სტატნიკოვამ მოუგო მანველოვას, სამარკინამ — შათირიშვილს, ლოლიშვილმა — სიუნინავას, იგნატიევამ — ბერსკაიას. ბუცხრიკიძე-შოშვილის, ტოგოშიძე-ვოიტეკის და ხაჭაპურიძე-ნაჭყებიას პარტიები ყაბმით დამთავრდა.

უკანასკნელი ტურის წინ გაფრინდაშვილს აქვს 14,5 ქულა 15-დან, იგნატიევას — 12,5 ქულა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ბოსკოვიდან გაემგზავრა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია

24 აპრილს მოსკოვიდან კიშინიოვში, ხოლო უკვდეგ სამშობლოში გაემგზავრა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა სსრ კავშირის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე კონსტანტინე პირვულესკუ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბ. ვოლკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ე. ავხიმოვიჩმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. გედვილასმა, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. ჰ. ელიუტინმა, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა მ. ა. ევსეევკომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გ. ი. ვოროსოვმა, ფ. ი. ბელიაუსკასმა, ს. ა. სკაჩკოვმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ჰ. ბიტიუკოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ა. ა. გორჩაკოვმა, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. გ. ზაიცევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსმა ნ. კ. კოზლოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსმა გ. ი. ფომინმა, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებმა.

გაფრენის წინ დელეგაციის მეთაურმა კონსტანტინე პირვულესკუმ აეროდრომზე წარმოთქვა სიტყვა. მან თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ ა. ბ. ვოლკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ე. ავხიმოვიჩმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. გედვილასმა, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. ჰ. ელიუტინმა, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა მ. ა. ევსეევკომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გ. ი. ვოროსოვმა, ფ. ი. ბელიაუსკასმა, ს. ა. სკაჩკოვმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ჰ. ბიტიუკოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ა. ა. გორჩაკოვმა, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. გ. ზაიცევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსმა ნ. კ. კოზლოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსმა გ. ი. ფომინმა, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

ჩვენ ყველგან ვხვდებოდით, რომ საბჭოთა მშრომელები მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომას ეწევიან. მათ უმოკლეს ვადაში აღადგინეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის დროს დაზარალებული სახალხო მეურნეობა. უფრო მეტიც, საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი თავდადებული შრომით კიდევ უფრო აყვავებული გახადეს თავიანთი ქვეყანა, ვიდრე იგი ომამდე იყო. ჩვენ ყველგან ვხედავდით, რომ საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა განახორციელოს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული ამოცანები, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

ჩვენ ვიგრძენით, თუ რა დიდად ესწრაფვის საბჭოთა ხალხი მშვიდობას, რა მჭიდროდ არის დარაზმული იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ჩვენ დიდად გვასიამოვნა მეგობრულმა მიღებამ, რაც მოგვიწყეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენმა მოგზაურობამ დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს. იგი ხელს უწყობს მშვიდობის დიად საქმეს და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

გეთხოვებით რა თქვენ, სულით და გულით ვუძღვნით მადლობას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცა შესანიშნავი დღეები გაგვეტარებინა თქვენს ქვეყანაში. პირობას გაძლევთ, რომ რუმინელ ხალხს გადავცემთ მთელ მეგობრულ სურვილებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანებმა გამოთქვეს.

სულით და გულით ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის ხალხებს ახალ წარმატებებს შრომაში და მათს კეთილშობილურ ბრძოლაში კომუნიზმის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

ცოცხლობდეს და ყვაოდეს რუმინელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა!

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დელეგაციას ახლავან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იონ რაბა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი გ. დ. გოლუბოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი დ. ზ. იაკუბინი.

(საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 25 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს დოქტორი იოჰანეს დიკმანი — სახალხო პალატის თავმჯდომარე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: გერმან მატერნი, ჰერალდ გეტინგი, კურტ აბენდროტი, ჰანს ბოიერი, ვალტერ ბუხჰაიმი, გიზელა ფუქსი, კურტ კრენკი, კარლ პოლაკი, ოლოფგანგ რესერი, პაულ შოლეკი, ურზულა ფრიდრიხი, ვალდემარ შმიდტი, ინგრიდ ტიმე, ცეცილია ვაიდენბაჰ-ბლუმი, ოტო ზირაუ, დოქტორი მაქს ზურბერი. სახალხო პალატის დელეგაციისთან